თ ა ნ ხ მ ო ბ ა

(უფლებამოსილების მინიჭების, უფლება-მოვალეობათა გადაცემის შესახებ)

შპს "დიდი დიღმის ოაზისი" (ს/კ 211361881) თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ შპს „გეითვეი ჰოლდინგს" (საიდ/კოდი: 204531499), თანახმად უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ 2012 წლის 10 აგვისტოს შეთანხმებისა, სრულად გადასცეს ქ. თბილისში, დიდ დიღომში, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ მშენებარე მრავალფუნქციურ კომპლექსის №2 საცხოვრებელ კომპლექსთან მიმართებაში ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 14 მაისის №6/560 ბრძანებით გათვალისწინებული კორექტირებული პროექტით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები, მათ შორის, მიმდინარე ანდა მომავალში განსახორციელებელ სამშენებლო და საპროექტო საქმიანობასთან/საქმიანობიდან დაკავშირებული/გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გეითვეი ჰოლდინგი" (ყოფილი შპს "ფროფერთი ინვესტი") უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოსაგან/დაწესებულებისაგან მოითხოვოს 2009 წლის 14 მაისის №6/560 ბრძანებით გათვალისწინებულ პროექტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, კერძოდ მოითხოვოს სანებართვო მოწმობისა და ბრძანების შპს „გეითვეი ჰოლდინგი"-ს სახელზე გამოცემა/გადატანა, აგრეთვე მოითხოვოს/განახორციელოს საპროექტო დოკუმენტაციაში ყველა შესაძლო/საჭირო ცვლილების შეტანა და განახორციელოს ნებისმიერი სხვა კანონით აუკრძალავი ქმედება.

შპს "დიდი დიღმის ოაზისი"-ს დირექტორი

ივანე ცაგურია _____

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N130012819
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	09.01.2013 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ელენე ყიზილაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.თბილისი, მ. კოსტავას ქ. 23
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322995210; 99590411423
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	80441903534013

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ცამეტი წლის ცხრა იანვარს მე, ნოტარიუსს **ელენე ყიზილაშვილს**, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. კოსტავას №23, მომმართა სრულწლოვანმა და ქმედუნარიანმა პირმა **ივანე ცაგურიამ** (დაბადებული: 01.03.1980 წელს თბილისში. მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, წყნეთის ქუჩა, კორპუსი №4, ბინა №25; პირადი №01008014283).

მან სანოტარო ბიუროში წარმოადგინა წინამდებარე **თანხმობა (უფლებამოსილების მინიჭების, უფლება-მოსილებათა გადაცემის შესახებ)** შედგენილი ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად და მთხოვა მათზე თავისი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია.

ივანე ცაგურიას ჩემს, ნოტარიუსის, მიერ არ განემარტა თანხმობის შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან დამიდასტურა, რომ ნამდვილად სურს **თანხმობის** ორივე ეგზემპლარზე მხოლოდ თავისი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მათ, რის შემდეგაც დავამოწმე ივანე ცაგურიას ხელმოწერების ნამდვილობა წინამდებარე **თანხმობის** ორ იდენტურ ეგზემპლარზე.

გადახდილია: სანოტარო მომსახურების საზღაური – 4,00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების (29.12.2011წ.) 31-ე მუხლის; დღგ – 0,72 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის; სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური – 2,00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) თანახმად აღნიშნული დადგენილების (29.12.2011წ.) 39-ე მუხლის; სულ გადახდილია: ექვსი ლარი და 72 თეთრი




ГРУЗИЯ
НОТАРИУС ЕЛЕНЕ КИЗИНАШВИЛИ